

# თეატრი

ქვემოთა  
კრიტიკა

№ 33 საკოეფ-კვირთა ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი. № 33

17 აგვისტო ბათუმისაჲ ყოველ კვირათაჲთ 1886 წელსა.

ესი გაზეთი „თეატრი“-სა ერთის წლით..... 5 მან. Xსსსკვარ წლით... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კონტორაში ან წერეთლის ქუჩაზე. თბილისში ბ-ნი ბესარიანს კალანდაძესთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კპ.

ასეილება: თბილისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შვერდოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპიროზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. შუთაისში კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორექსიონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები. თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორებისა.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარეგნით იყვნენ დაწერილნი.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ ვისრულებს.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცნოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галерея бив. Артируи № 110.

## სხუარების თეატრი

„ივერიისა“ დამაკვარდიდამა ამოწერილი იმავე გაზეთის ახალი ამბიდამა და მეოთხურ წერილიდამა.—ჩვენს გაზეთზე გამოლაშკრების მაგალითი.—მიზეზი ამ გამოლაშკრებისა.—ლოგიკა „ივერიისა“ „ივერიის“ წინააღმდეგვე მიმართული.—უკულმა გადაბრუნებული „ივერია“.—„ივერია“ და „აირევი“—მეუნარგის „სავით“, „სავითა“ და „თივას“.—რა არის უმართებულო და რა არის მართებული?—რუსული წიგნი ქალებზედ.—

„დამაკვარდი“

„უველაზედ უკეთესი წიგნი იგია, რომელი-მისაც უველაზედ ბევრი მართალია“ ბუასტი. („ივერია“ № 175, 1886 წ.) „უველაზედ უარესი წერილი იგია, რომელიმისაც უველაზედ მეტი სიკრუეა.“ ბუასტის მაგიერი. („ივერია“ № 000)

ახალი ამბავი

„მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორად ნამყოფს ბ-ნს კოვალევსკის... გადაუთარგმინებია ერთის ქართველის სტუდენტისათვის უველა წერილები სვანეთზედ, დაბეჭდილნი გაზეთს „დროებისა“ და „ივერიაში“. „სუბივქემუდს პროფესორს ეს ნომრები „დროებისა“ და „ივერიისა“ დიდის მოწიწებითა აქვს თურმე შენახული შიგნი-შიგან დაკეტიდს შკატის უჯრებში.“ („ივერია“ № 171, 1886 წ.)

მეთაური წერილი

„საჭირო არ არის კაცი საისტორიო გამოძიებათა ბარდებში გაებას იმ უცილობელის და უველასაგან ცნობილ ამბის დასამტკიცებელად, რომ შირველ-ყოფილ დროს, როცა თავდაპირველ დაწვეწვენ კაცთა საზოგადოებანი, ზოგადს ელემენტს საკუთრებისას, თუ არ გან





საკუთრებით, გადაჭარბებით მაინც მეტი და უპირატესი ადგილი ეჭირა კაცთა ცხოვრებაში. სხვა-და-სხვა საეკონომიო და საზოღოო-ტიკო თვისების მიზეზთა გამო მაგ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თან-და-თან გზა დაუთმო პირადსა და პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლებოდ გამოისახა მთელის თავისის სასტიკობითა ფეოდალობაში, რომელმაც შემოიტანა ბატონულობა, ესე იგი იმისთანა წყობა, რომელიც მართლ უფლებათა უმოვალეობა, უსაზღვრო, პირობა—დაუდებელი და რომელსაც სხვა საგანი არა ჰქონდა-რა გარდა კაცის პირადის კეთილ-დღეობისა...“



ერთმა შეუბრალებელმა ჩხირკედელმა ლიტერატორმა „ივერიის“ პირველად გამოსვლის დროს ამ გაზეთის სათაური გადააბრუნა და „აირევი“ გამოიყვანა. რა იცოდა ამ გულუბრყვილოდ, რომ მისი ჩხირკედელობა ამ რვა წლისა შემდეგ გამართლდებოდა და აუნდებოდა პატივ-ცემულ გაზეთს. და როგორ აუნდა მერე! ენაც არია, ლოგიკაც და მიმართულებაც. თუ არა გჯერათ აი საბუთებიც:

„ივერიის“ „ნარკვევის“ ავტორმა გვიკვირნა ამ დღეებში ჩვენ სხვა-და-სხვა ცოდვები და ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ჩვენ გაზეთის მნიშვნელობა არ გვესმის. იყავნ ნება ბ. ნარკვევის ავტორისა (!) და გვიკისრია ეს ცოდვები, თუ მართლა ამ შენიშვნის წაკითხვის შემდეგ ცოდვად ჩავგითვლის ვინმე. მართალია, ჩვენთვის ძნელია გამგლავება იმისთანა გაზეთთან, რომელსაც მთელი ევროპის სიბრძნე შეუძენია და „დიდი მოწიწებითა აქვს თურმე შენახული შიგნი-შიგან დაგუბილს შაფის (ანუ ტეინის) უჯრებში (იხილეთ „დამაკვირდი“)... მაგრამ მოთმინება ვიქონიოთ და წინდაწინვე დასკვნას თავი დავანებოთ. ჯერ ბევრს მკითხველს დავიწყებელი არ ექნება მშვენიერი წერილი თვითონ „ივერიის“ მოძღვრის „ზოგიერთი რამ“, რომელშიაც ავტორი ამბობდა, რომ როდესაც ხალხი ან ადამიანი გონების დაცემამდე მივა, მაშინ ენასაც გარყვნის და სხვის ნაღაპარაკევესაც იმისთანა კილოს გამოაბამს, რომელიც მოღაპარაკეს თავში სრულიად არ მოსვლიაო. ხალხის გონებითი განვითარებაზედ ჰკიდია იმის ენის განვითარებაცაო. აი მე ხომ ენლა „ჰკიდია“ ვთქვი,

მაგრამ გონება—გარყვნილი და სულ-დასაბამო ადამიანი ამასაც კილოს გამოაბამსო.

ეს იყო დაახლოვებით აზრი „ივერიის“ რედაქტორისა. მაგრამ ახლა რაღასა ბძანებს ბ. „ივერიის“ რედაქტორი, როდესაც წაიკითხავს რომ მისნი თანამშრომელი ერთგულად ასრულებენ იმ რეკვირუს, რომელიც იმან გონება-გარყვნილ და სულ-დაბადლ ადამიანებს დაუწერა. ჩვენს გაზეთში სხვა რომ ვერა იპოვეს-რა და პირდაპირ სიტყვის შემობრუნება ვითომ არ იკადრეს, უმართებულობა შეგვწამეს და უმართებულოდ ისეთი სიტყვა მაიღეს, რომელიც ურმის ერთის ნაწილის სახელია და რომელიც სხვათა შორის დასახელებული აქვს თ. რაფ. ერისთავს ერთს თავის მშვენიერს ლექსში.

ჩვენ რომ „ნარკვევის“ ავტორის გზას დავადგეთ, უოველდე შეგვიძლიან ისეთი დასკვნა გამოვიყვანოთ რომ „ივერიის“ არ ესმის გაზეთის მნიშვნელობა. აი თუნდა აიღეთ წარსული ოთხშაბათის (175) ნომერი „ივერიისა“ და მესამე გვერდზედ ფელტონის მეოთხე სვეტზედ ამოიკითხეთ შემდეგი ფრაზები: „არათერს ამ კაცისას არ უდგებოდა“ „დიდს ნიკაპზე შუაში ჩადრმავებული უჩანდა“ და გვითხარით საბუთი არა გვაქვს, თუ „ივერიის“ მონარკვევეს მივდიეთ, ჩვენც ტაკი-მასხარაობა დავიწყეთ და ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ „ივერიის“ გაზეთის მნიშვნელობა არ ესმის!

ნუ თუ ეს მაგალითი არ არის „ივერიის“ აზრების მართლა არე-დარევისა? ჩვენ კარგად გვესმის, რისთვის არის მონარკვევე ასე გაწიწმბებული ჩვენის გაზეთის წინააღმდეგ, მაგრამ როცა კაცი ვისმეს წინააღმდეგობას უწევს, უნდა ცალ-პირი იარაღი მოიხაროს, და არა იმისთანა, რომელიც ერთს რომ სხვას დაჰკრავს, ორს თავის პატრონსა სცემს.



ბ. მეუნარგიამ ივერიაში დაბეჭდა ფელტონი „სავით“. (გადააბრუნეთ ეს სიტყვა და გამოვა „თივას“) ამ ფელტონში ავტორი გვიჩვენებს ენის გაყმაწვილებას, განახლებას და თავის დაწებებას „პეტრიწისა“ და გიორგი მთაწმინდელის ენისას“. ამითი არა თავდება ბ. მეუნარგიას რეფორმა და სიტყვების დასაწყისის გადაყდავასაც გვიჩვენებს და თავ-მოკვნიტ ბოლოების ხმარებას. ეს ფელტონი თითქმის იმავე ნომერ-



ქართული ლიტერატურა

# მოკლე ბიოგრაფიული ცნობანი

დავით ჰარრიკი.

შინა დაბეჭდილი, რომელშიაც ზემოდ მოყვანილი მეთაური წერილია. მოდით ახლა გაიგეთ რამე. მონარკვევს ვურჩევთ სარატოვის ღის-ტოკებს თავი დაანებოს და ეს გამოარკვიოს, რა ენით უნდა ვწეროთ ჩვენ საბრალოებმა და რა ენაზედ ვიკითხოთ. თავში იმისთანა მოწინავე წერილი, რომელსაც ასში ათი თუ წაიკითხავს და ათში ორი გაიგებს და რომელზედაც ეტუობა რომ მის ავტორს მთელი ქვეყნის სიბრძნე „დიდის მოწინავეთა აქვს შენახული შიგნი შიგან დაკეტილს ტვირის უჯრებში“ (დალოცვილი! რა იქნება ხანდისხან მზეზე გამოჭეუნოს ხოლმე და ტენისაგან გამოამშრალოს!) და ქვევით ბ. მეუნარგია (მეგრელი უნდა იყოს) სიტყვებსაც კი თავებსა შარავს და მხოლოდ ბოლოებს გვიტოვებს. მე იმ აზრისა ვარ, რომ ეს ფელეტონი უფრო გააბრუნებს „ივერიის“ მეთაურის ტებს, თივის ბუღუღსავით ქარს მიაცემინებს ფელეტონსაც და იმის დამწერის აზრებსაც და ჯიბრზედ იმისთანა ენას ახმარებინებს ამას იქით, რომ თუ დღემდის ასში ათი ჰკითხულობდა, დღემდამ ასში მხოლოდ ერთმა იკითხოს.



რაკი „ივერიის“ მწერლებს ამის გაგება არა ჰქონიათ, რა არის მართებული და რა არის უმართებულო, ვურჩევთ გადაფურცლონ ერთი რუსული წიგნი „ქალებზედ“, რომელიც მარშან გამოვიდა და ამ ცოტას ხანში ხუთჯერ გაგამოიკა და მე ვან გვერდზედ ამოიკითხონ მეგრელი ქალების ხასიათის ადწერა. გადაფურცლონ, მაგრამ მთელს წიგნს ნუ წაიკითხავენ, რადგან „შიგნი-შიგან დაკეტილ ტვირის უჯრებში“ შესანახ სიბრძნეს იქიდან ვერ ამოიკითხვენ. მაგრამ ეს წიგნი სხვაფერიც არის ღირს გასაცნობი: თუმცა მის ავტორს არ ეტუობა არც იმ საგნის ცოდნა, რომელზედაც ლაშარაკობს, არც ნიჭი, არც სიოხუნჯე და გარყვნილი გრძნობის მეტს საზრდოს ვერას მისცემს, მაგრამ ეს წიგნი ხელი-ხელ სატარებლად გაუხდიათ და მის დამწერს კარგი სიმდიდრეც შეუძენია.

ნუ თუ ესეც ნიშანი არ არის გრძნობებისა და გემოს არევ-დარევისა?


ამ სათაურის ქვეშ ჩვენ გესურს ხშირად ვესაუბროთ ჩვენს მკითხველებს გამოჩენილის კაცების ცხოვრებაზე, მათი ბიოგრაფიაზე. ცხოვრება და ცხოვრების თავგადასავალი ყოველის გამოჩენილის კაცისა ჩვენის აზრით არის სკოლა, სადაც „უბრალო მამაკვდაენი“ ბევრს ისეთ რამეებს იპოვნიან, რომელიც გამოადგებათ კერძო ცხოვრებაში, ბევრს ისეთ რამეებს ისწავლიან, რომელსაც სასარგებლოდ გამოიყენებენ კერძო ცხოვრებაში და საზოგადო საქმეშიაც. ამის გარდა გამოჩენილ კაცთა ბიოგრაფიები წასაკითხავად არასოდეს არ არიან ინტერესს მოკლებულნი და მაშასადამე სარგებლობასთან ერთად გასართობნიც არიან.


დავით ჰარრიკი იყო ერთი უდიდესი არტისტი-თავანი, (აქტიორი ანუ მსახიობი) რომლის მსგავსი სასცენო ხელოვნების ისტორიას არ ახსოვს. ჰარრიკი დაიბადა ინგლისში გირფორდში 20 თებერვალს 1716 წელსა. მამა მისი იმ დროს სამხედრო სამსახურში იყო და მალალი თანამდებობა ეკირა.

ბავშობიდანვე დავით ჰარრიკს დაეტყო დიდი ნიჭი და ლტოლველება სასცენო ხელოვნებისადმი. ჯერ კიდევ 11 წლის არც კი იყო, როდესაც პატარა-დავითი სცენაზედ გამოვიდა სცენის მოყვარეთაგან გამართულს წარმოდგენაზედ, ეს პიესა იყო „მსედრობის თავის მოყრა“ რომელშიაც დავითი თამაშობდა პატარა სერჟანტის (მხედარი) როლს. ამ სრულებით უფერულ როლშიაც პატარა დავითმა ისეთი ნიჭი გამოიჩინა, რომ მთელი ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. ზოგნი მაყურებელთანი პატარა დავითს მაშინათვე დიდს სახელს უქაღდნენ სასცენო ასპარეზედ.

მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, მამა მისმა არ შეიწყნარა შვილის სურვილი და ერთს სავექილო სასწავლებელში მისცა და პატარა დავითი ნება უნებლიედ 1727 წელს ლონდონში გაგზავნილიქმნა კანონების და იურიდიული ხრიკების შესასწავლებლად—მაგრამ გენიოსებს ბედი ხშირად სწყალობს ხოლმე: დავითს მალე მოუყვდა მამა და ახალგაზდა ჰარრიკი თავისუფალი შეიქმნა 20000 მანეთით ჯიბეში, რომელიც მამამ დაუტოვა.

დავითმა სწავლას თავი დაანება და როგორც ინგლისელი კაცი, პრაქტიკული ცხოვრების შვილი, იგი შეუერთდა თავის უფროს ძმას ერთს რაღაც





კომერციულ საქმეში და ფულის შოვნას და გამდიდრებას შეუდგა. ასე დაჰყო რამდენიმე ხანი. მაგრამ შინაგანი, ლეთაებრივი ცეცხლი“ არ შრტებოდა ჰარრიკის გულში. ხშირად ესმოდა დაეთოს აქტიორების ღიღება, მათი ცხოვრების თავგადასავალი, მათი ქეიფი, მათი ღროს გატარება, ამასთანავე დაეთითი ხშირად დადიოდა თეატრებში და ყოველი წარმოდგენის შემდეგ სიყვირული სცენისადაში თან და თან უძლიერდებოდა. ხანდისხან ვახშმის ღროს ამხანაგების შორის დაეთი ჰარრიკი წამოხტებოდა, ავიდოდა სტოლზედ და ალტაცებით დაიწყებდა სხვა და სხვა მონოლოლების კითხვას, ამასთანავე ისე აჯაუკებდა ზოგიერთი მაშინდელ აქტიორებს, რომ ამხანაგებს ანცვიფრებდა თავისის საოცარის მიმბძველობით და მიმსგავსეობით.

ასე მიდიოდა ჰარრიკის სიცოცხლე რამდენიმე ხანს, მაგრამ ბოლოს სძლია სურვილმა და გულის მიმზიდველობამ და გარდასწყვიტა თეატრში შესვლა. 1736 წელს ჰარრიკმა თავი დაანება ვაქრობას, ყოველივე მას გადასცა და გაემგზავრა პროვინციებში, რომ იქილამ დაეწყო ნელ-ნელა წარმატება, რადგან ინგლისის დედა ქალაქში, ლონდონში ეშინოდა თამაშობა, ვაი თუ როლი გავაფუჭო და სახელი წაეხდინო.

პირველი მისი დებიუტი მოხდა მისის თვეს 1841 წელსა ქალაქს იპსვიჩში, სადაც დაეთი ჰარრიკმა შეასრულა აბიანოს როლი ოთხ მოქმედებანი ტრალედიაში „ორენოკოში“. ჰარრიკმა სახელი გამოიცვალა და ათიშებში ეწერა რომ აბიანოს როლის შეასრულებს დ. ლიდელია. ვერ წარმოიდგენთ რა ნაირად, რა ნაირის ძლიერებით და ხელოვნებით შეასრულა ახალგაზდა არტისტმა თავისი როლი! ხალხის ალტაცებას სამსლეარი არა ჰტონდა. ამის შემდეგ დაეთი ჰარრიკი გამოვიდა ოტვეის ტრალედიაში: „ობოლში“. ამ პიესაში იმან ისეთი სახელი ვაითქვა, რომ მთელი ქალაქი ააყუყანა.

ჰარრიკის სახელი დღე დღეზედ იზრდებოდა. ყველა ეტანებოდა იმ წარმოდგენას, რომელშიაც დაეთითი თამაშობდა, ასე რომ ბოლოს არტისტმა ვაბედა ლონდონში წასვლა სადებიუტოთ.

1741 წელს 19 ნოემბერს დაეთი ჰარრიკი ჩამოვიდა ლონდონში და პირველი დებიუტი გამართა გუდს-მენჭელდის თეატრში, სადაცა შეასრულა რიჩარდი მესამის როლი უკედავი შექსპირის ტრალედიაში „რისარდი III“ ზედ-მოქმედება, რომელიც მოახდინა ჰარრიკმა ამ როლში წარმოუდგენელი იყო, იმ დღემდე ინგლისელებს არაფერი ენახათ ჰარრიკისთანა.

არტისტის სახელმა ერთს წუთს მოჰჰინა მთელი ლონდონი და მერე მთელი ინგლისიც.

ყოველ დღე იმართებოდა გუდსმენჭელდის თეატრში წარმოდგენა, და ყოველთენი უფრო ჰმატულობდა უფრო ორკეცდებოდა ჰარრიკის სახელი და წარმატება. ჰარრიკის თანამედროვე რეცენზეტების სიტყვებით ბილეთების სასყიდლათ ხალხი დილა აღრიანად ეტანებოდა თეატრში და სალამოს ბეერის ვაი-ვავლანის შემდეგ ძლივსლა ეღირსებოდნენ ბილეთს და მრავალი კიდეც ისე უბილეთოდ რჩებოდნენ, მარტო ეტლები თურმე სამი ეგრსტის სიგრძეზედ იყვნენ გაჭიმულნი—იმდენი მოსურნე იყო თურმე ჰარრიკის სანავედ რიჩარდის როლში. მაშინდელმა გამოქენილმა მხატვარმა გოგარტმა დიდი სურათი დახატა, სადაც რიჩარდი III—ჰარრიკი ჰყვირის: „ცხენი მომეცით, ცხენი! ნახევარი სახელმწიფო ერთი ცხენისათვის!“ და ეს სურათი ეხლაც არის ლონდონის მუზეუმში და მაყურებელს აკვირებს თავისის სინამდვილით, თავისის სიცოცხლით... ამ როლია შემდეგ დაეთი ჰარრიკს ეტანებოდნენ, გვირგვინოსანი, თავადნი ვაქარნი და გლეხნი, ყველა მისი თაყვანის მცემელი იყო....

ჰარრიკმა თავი იჩინა აგრეთვე როგორც დრამატურლმა, იმ ღროს დიდს შთაბეჭდილებას ახდენდენ ორი მისი პიესები: „ცრუ—მსახური“ და „ეზოპი მკვდართ სამეზოში“. 1745 წ. ჰარრიკმა დაიწყო მოგზაურობა. ამ ხანებში იგი თამაშობდა დუბლინიში, სადაც საოცარად შეასრულა და თითქმის ახლად დაჰბადა მეფე ლიარის როლი, ჩამოვიდა თუ არა დუბლინილამ ლონდონში მაშინათვე დრიუელენის თეატრში მიიწიეს, სადაც დარჩა კიდეც თავის უკანასკნელის წამამდინ. ამ თეატრში დაეთი ჰარრიკი უფრო ფხიზლათ შეუდგა თავის მოვალეობას და საოცარის მეცადინეობით და ნიჭით ასრულებდა ერთი მეორეზედ უკეთესად ბექსპირის როლებს. ყველაზედ უკეთესად ჰარრიკი ასრულებდა მაგბუტის როლს, ეს როლი სწორედ საჰარრიკო იყო და მართლაც ისე ვერცენ თამაშობდა მის წინეთ და ვერც შემდეგაც უთამაშნიათ ჰარრიკისავით. შეუდარებელი იყო აგრეთვე ბენედიქტის როლში შექსპირის კომედიაში: „დიდი სმაურობა უბრალო საგანსჯელ“. ამ თამაშობის ღროს ჰარრიკი წერას არ იფიწყებდა და 1745 წელს დასწერა ფრიად საინტერესო პიესა „პატარაძლი“, რომელსაც ძრიელ დიდი გავლენა ჰქონდა მაშინდელ საზოგადოებაზედ.

1749 წელს ჰარრიკმა ცოლად შეირთო ერთი ბალღერინა ვიოლეტა და ამის შემდეგ კიდეც დანი-



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

შნულიქმნა დრულელონის თეატრის დირექტორად, ეს მაშინ დიდი თანამდებობა იყო.

ღანარჩენი მისი სიცოცხლე წარმოადგენს განუწყვეტილ შრომას და სახელის განთქმას, თითქმის ხუთი წელიწადის განმავლობაში ჰარრიკი ყოველ ღამე თამაშობდა სხვა და სხვა როლებს. ჰარრიკს სჭირდა ერთი უცნაური ხასიათი: ეგ იყო პიესის გადაკეთება თავის გემოვნებაზედ. ამ შემთხვევაში მას არ შეაფერხებდა არც ერთი კაცის ავტორიტეტი. თვით უკვდავი და გენისთა გენისი დრამატურლი ვილიამ შექსპირი არ გადარჩენილა ჰარრიკის კრეკა-პარკვას.

1763 წელს ჰარრიკი გაემგზავრა ევროპაში საგასტროლოდ და ამ მოგზაურობამ ხელ-ახალ დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ნიჭის და გონისობის პატივიცემა ყოველს აქვს, აქტიორი იქნება იგი თუ მწერელი ერთი თუ ბერი. ყველა ევროპის გამოჩენილი ქალაქები ჰარრიკს ალტაცებით მიეგებოდნენ, თითქო ხელმწიფე ყოფილიყოსო.

ჩამოვიდა თუ არა მოგზაურობიდან ჰარრიკმა სტრატფორდში გამართა სახალხო ღლეობა უკვდავი შექსპირის სახსოვრად. ეს წარმოდგენა ისეთის ცოდნით და გემოვნებით იყო გამართული, რომ მთელი მაშინდელი ევროპა ააღაპარა; ამასთანავე ამ ღლეობის გამართვა სრულიად ჰარრიკის მიმხედვრობას ეკუთნოდა.

ამის შემდეგ დავით ჰარრიკი დრო გამოშვებით კიდევ თამაშობდა სხვა და სხვა თეატრებში, მაგრამ ბოლოს მოიქანცა და ავად მყოფობა დაიწყო, ასე რომ 1775 წელს ჰარრიკმა გამოაცხადა, რომ სცენას თავი უნდა დაენებოვო, მაგრამ ხალხმა არ შეიწყნარა არტისტის სურვილი და ჰარრიკი იძულებული იქმნა კიდევ ერთის წლის განმავლობაში დარჩენილიყო სცენაზედ, ხოლო 1776 წელს ჰარრიკი სრულეობით გამოეთხოვა სცენას. იმ საღამოს თამაშობდნენ პიესას „სასწაულს“ და გათავდა თუ არა წარმოდგენა ჰარრიკმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც მთელი თეატრი ერთი კაცისათვის აატირა.—გამოთხოვება სწორედ გამოუთქმელი იყო. ტირილი, ყვირილი, ალტაცებით ტაშის ცემა, ხვეწნა და სხვა მრავალი გრძობა ერთად იყო არეული. ასე დაათავა გამოჩენილ არტისტმა თავისი სახელოვანი მოღვაწეობა სამშობლო სცენაზედ.

ამის შემდეგ ჰარრიკი გადავიდა თავის მამულში, მაგრამ შეუბრალებელმა სიკვდილმა მალე მოუღობოლო. 1779 წელს 20 იანვარს დილის 10 საათზედ გარდაიცვალა ინგლისის დიდება. დავით ჰარრიკი დამარხეს მისი სურვილისამებრ ვესტმინსტერის ეკლე-

სიაში შექსპირის გვერდით. მთელი ინგლისის დიდებულნი კაცობა და არისტოკრატია დაესწრო ჰარრიკის დადარსებას, მთელი ლონდონის მცხოვრები და სხვა ქალაქების დეპუტატები მიაცილებდნენ არტისტის კუბოს. ათი მინისტრები შავში მოსილნი სახელმწიფოსაგან იყენენ დანიშნულნი. ასე პატივის ცემით დამარხეს ინგლისელებმა თავისი არტისტი, რომელიც მწიწლის განმავლობაში ატკობდა მათს ესტეტიურს გემოვნებას და ღირსიც იყო ჰარრიკი ასეთის პატივისცემისა. ჰარრიკი გარდაიცვალა 63 წლისა.

ღავით ჰარრიკის სახელი ეხლაც ცხოველინგლისში და ყველა განათლებულ ევროპიულ სცენებზედაც. მისი სახელი არასოდეს არ მოკვდება სასცენო ხელოვნების ისტორიაში. ჰარრიკის ნიჭი შეიძლება ასე გამოიხატოს: იგი იყო ჯადო-ქარი, რომელიც თავის სულიერის ძალით, ცოდნით და ღვთაებრივის ცეცხლით მთლათ იტაცებდა მაყურებელსა, გადაყავდა იგი ამ ქვეყნიდან სხვა, უცხო ხელოვნების სამყაროში, ათას ნაირად აქლერებდა აღამიანის გულის სიმებს; ჰარრიკს დიდს ნიჭთან დიდი ჭკუა და განვითარებაც ჰქონდა. როგორც კერძო, აგრეთვე საზოგადო ცხოვრებაში და დამოკიდებულებაში ჰარრიკი შეუდარებელი რამ იყო. რბილი და ჩვილი გულის პატრონი, პატიოსანი, ყოველთვის დამხმარებელი გაჭირვებულისა, იგი იზიდავდა ყველას ყურადღებას და სიყვარულს. ჰარრიკმა თეატრის და აკტიორის მნიშვნელობა იმ ხარისხამდე აიყვანა თავის სამშობლოსი, რომ ერთმა გამოჩენილმა ინგლისელმა ასეთი ფრაზა წარმოსთქვა ერთხელ კრებაში: „ჩვენში, ინგლისში მხოლოდ ოთხს წყობილებას აქვს ძალა და მნიშვნელობა, ეს არის; მეფე, პალატა ლორდებისა, საზოგადო პალატა და დრიულელონის თეატრი თავისის არტისტებითა!!!“

ასე ცხოვრებდა, მოღვაწეობდა და მოკვდა გამოჩენილი არტისტი ტრალიკოსი დავით ჰარრიკი, რომელმაც თავის სახელთან ერთად ასახელა სამშობლო სცენაც!

გალიკო—ია.



# თეატრის კვირა ხელოვნური პოეზია

## მესტიერეს

ხეტავ შენ, ჩემო მესტიერე,  
დარდი არა გაქვს არაფერის,  
ამასთან არ ხარ შეშინებული

არც ცის, არც კაცის, — მთა-ბარის!

დადისარ კარის-კარ მარად,  
დაგაქვს ქამანჩა და სტვირი,  
აგსა და კარგსა ერთ გვარად  
აქვს, ადიდება, შეჭყვირი...

კარგი გიქმნია — ღმერთს ვუთხრა —

რომ დაგიშაქვს ეგ ენა:

უველგან გათბები, ჩაიცვამ,

უველგან გიქმნება მოღსენა...

უველგან მოიძვი წყალობას

და „ყოჩაღ!“ „ბარაქვასა!“

უველგან უდიდება გალობას

შენს გაიძვირ ენასა.

სიმათლე არსად წაგდება —

კერსად მოგნახავს შენ მტრობა,

არც სხვასებრ კატი მოგესვდება —

უველგან დაგხვდება მოყვრობა!

შეგისწავლია ცხოვრება

თანამედროვე ხალხისა

მისი ქამანდი, — ხმარება

ძირმწარის ნაცვლად თაფლისა...

ჭო! კვრე, ჩემო მესტიერე

ქამანჩა, სტვირი დაჭკარი,

ქებით, დიდებით გაგმიწე,

ქებისთვის უველ მომიკვდარი!...

კარგი გიქმნია — ღმერთს ვუთხრა —

რომ დაგიშაქვს ეგ ენა:

უველგან გათბები, ჩაიცვამ,

უველგან გიქმნება მოღსენა!...

გ. თირუელი.

## მუნთალი სოფელს

თუმც გული კუნისის, ჩაგდება,

მთის ყინულვით დნება,

მაგრამ ჯერ კერას დამაკლებ  
მუნთალა სოფლის ენება.

რა ძალიც გინდა იხმარო  
და შემინუთა სულია,  
მაინც მომელის შემდეგში  
გველუცი გაზაფხულია!

ზაყელი

## ჩემს იდეალს

შენ მიზასუსე, ჩემო სატრფოკო,  
ჩემო იდეალ,

შენ ჩემო გრძნობის დამამტკბარო  
და ჩემო ბუღა!

შენით მომეცა მკვდარს გაზება  
განცხოვლება, —

შენით სძუკეს გული და კძლევის  
სიამოვნება.

შენ აწადმართებ ჩემს სიცოცხლეს  
შწარეს უგემურს,

შენ აცოცხლებ ჩემს არსებას  
ბეჯერულს, უბედურს...

თუ მოტყუებულს ტყვიას იმედს  
კემოწილება

და უბედური თვალ-სწავლით  
შენ გემოწიება.

გვლავ მომეკვლინე

ჩემო მნათობო

რომ შენი სხივი მე მიწათბუღეს

გზას ცხოვრებისას?

დამიტკბობ გულსა დამიამებ  
დაკოდილს წელსელებს

და აღმისრულებს აწ დაკარგულს  
ჩემსა სურვილებს?


მაშ ისევე-ისე ჩემს არსებას

გიმსხვერპლად, გწირავ!

მანამ ცოცხალვარ თაყვანსა გრემ

და არ განგწირავ!

კნ. ნინო ორბელიანისა.



### „ივერიის“ ნარკვევის გამოკვევა.

ბაზ. „ივერიაში“ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ არის ერთ გვარი განყოფილება სახელდობრ ნარკვევა. საზოგადოთ ყოველი ნარკვევი და გამოკვეული რამე გარგი რამ არის, თუ ნარკვევი იგი მართლა ნარკვევსა ჰგავს თა არა აშლილ-დაშლილს, დომხალივით არეულ-დარეულს უკბილოდ ნაცოხნსა... „ივერიის“ ნარკვევი კი ამით ვერ დაიკვევებს. ყოველისფერს რომ თავი დავანებოთ, მაინც ის გარემოება რომ ხსენებული ნარკვევი ასოდან ასომდე, სიტყვიდან სიტყვამდე ითარგმნება, ან მდებიურად რომ ესთქვათ უწყალოდ ითვისება ორ-სამ რუსულ გაზეთებიდან—თუმცა ყოველდღე შეხედებით ისეთს გაზეთების სახელს, რომლებსაც არამც თუ „ივერიის“ რედაქცია, არამედ თბილ-ქალაქის ჰაერიც არ უნახავთ და მაშასადამე „ივერიის“ რედაქცია მოკლებულია იმ გაზეთებიდან ცნობების ამოკრეფის საშეალობას, ესე იგი, ნარკვევის შედგენას—და საკუთარ მსჯელობის და გამოკვევის ნიმუშად ისაღება მკითხველ საზოგადოებაში არა გვეგონია საქებარი და საპატივბელი საქციელი იყო. ეს გარემოებათ უფრო სამწუხაროა, რომ იმით ნარკვევი ვერავის ვერ მოატყუებს—შესაძლებელია ესეც ევატიოს ნარკვევს, მაგრამ ის როგორ-ღა ევატიება რომ ხეირიანი უხეიროსაგან, სასარგებლო უსარგებლოსაგან ვერ გაურჩევა მაგას თუ ბ-ნი გამოურკვეველი ნარკვევის ავტორის სურვილიც იქნება ჩვენ ნათლათ დავანახებთ მაგას ეს არის ნარკვევის მოკლე ბიოგრაფია.

აი ამ ნარკვევმა ამ დღეებში ჩვენს გაზეთს უძღვნა პატარა გამოურკვეველი ნარკვევი, ხოლო თარგმნილი კი არა, არამედ საკუთარი, ორგინალური (ეს პირველი მაგალითია მის შემდეგ რაც „ივერიაში“ ნარკვევი დაიბადა) და უნდა გამოვტყდეთ რომ ის პირველი ცდა თვით მსჯელობისა, თვით გამოკვევისა მეტად საკუთარია, მეტად პიროვნულ ორიგინალურია. ბ-ნი გამოურკვეველი ნარკვევის ავტორმა ჩვენ უზნეობა დაგვწამა, თუმცა თან ზედ თავისი ურცხობაც გადაქიმა.... ჩვენს გაზეთში «კვირიდან კვირამდე»-ში სხვათა შორის ცხენის რკინის გზის შესახებ ასე იყო ნათქვამი: „კონკები, ან როგორც კინტოები ეძახიან «კონკილები» თავისას მაინც არ იშლიან“ და სხვა... ეს სიტყვები ბ-ნს ნარკვევის ავტორს ლახვარსავით გულს მოხვედრია, მთლათ სიღრმე-სიგრძე-სიგანაზე აუშლვრევია მისი უმანკოებით საესე, უბიწო სული და გული, მისი მორცხობის გრძობისათვის წარმოუდგენელი შეურაცხყოფა მიუ-

ყენებია!!! რა ნახეთ ბ-ნო გამოურკვეველი ნარკვევის ავტორო საჩოთირო და საბოდიშო ამ სიტყვაში? რა იზოვეთ აქ ზნეობის და მორცხობის წინააღმდეგ? ეს თვითონ ბ-ნს ნარკვევის ავტორს უკუ ეცოდნება, ჩვენ მხოლოდ ის ვიცით და დარწმუნებული ვართ, რომ კაცმა რაც გინდა სიტყვა იხმაროს, რაკი სიტყვას გავქვიმავთ, ყოველთვის შეიძლება იმ სიტყვას ორ-აზროვანი მნიშვნელობა მიეცეს, საჩოთირო შეიქმნეს,—ეს სრულიად დამოკიდებულია მკითხველ-გამგონზე, მის ტემპერამენტზე, მის ხასიათზე, მის ზნეობრივ სარჩულზე, მის ჯკუის სიცელქეზე. სიტყვა კონკილა ნიშნავს ურმის იარაღს და არა იმას რაც წარმოუდგენია ბ-ნი ნარკვევის ავტორს, მის ცელქურს ფანტაზიას, მის ზნეობრივ ვინაობას... ასე რომ სიტყვების გაქვიმავს მიყვეთ, მაშინ ხომ არც ლაპარაკიც და არც წერაც შეიძლება! სიტყვები; შავიდა, შამოვიდა, მიებჯინა, მიაწვა, მოაწვა გააქვეს-გამოაქვეს, გაქან-გამოაქანება და სხვა-დასხვა უთუოთ აკრძალულნი უნდა იყვნენ ბ-ნის ნარკვევის ავტორის ცელქურის ლოლიკით. ვაი ჩვენი ბრალი; მაშინ მარტო ნარკვევი-ღა დავგრჩებოდა სახმარებლად! აქ უნებურად მოგვაგონდა ერთი შემთხვევა, რომელსაც ერთხელ დავესწარი. ერთს ლანაზს ინსტიტუტკას უთხრეს: მე ყოველთვის მესმის ხოლმე თქვენი ენაო. უნდა გენახათ საცოდავი ინსტიტუტკა, კოჭებამდინ სირცხილის აღმურით და იწო და ვგონებთ ავადაც შეიქმნა და ლოგინად დაწვა იმ საზარელი სიტყვის შემდეგ. რა ნახა ინსტიტუტკამ ამ ფრაზაში თუ სიტყვაში საჩოთირო, მორცხობის წინააღმდეგ? ამას მხოლოდ ინსტიტუტკა და მისი ცელქი ამახანავი ბ-ნი ნარკვევის ავტორი გვეტყვის. ჩვენ გულ-წრფელად ვურჩევთ ბ-ნს ნარკვევის ავტორს, შეადგინოს ახალი ლექსიკონი, რომელშიაც მისგან პატიოსან სახმარებლად ცნობილი სიტყვები მოთავსდებიან (დიდი ლექსიკონი კი გამოვა) და გმირულად დაიხსნიან ჩვენს საზოგადოებას გარყენილობისაგან და თუ მაინც და მაინც ჩვენ გაფუჭებულებს არას გვიშლიან, მომავალ შთამომავლობას მაინც გაწურთნიან და შთაუწერგამენ გულში გრძობას მორცხობისას!...

«ნესტორაჟნასტა»-ები! დიდი მახელობაო, მახელობს ბ-ნი ნარკვევის ავტორი და თანაც გოცებითი ნიშანს ასვამს, იქნება სიმახეილეს ძალა მოემატოსო. ვინ მოგახსენათ, რომ ჩვენ ამ სიტყვით მახელობას ვაპირებდით? ეს მახეილობა კი არ იყო, არამედ წუხილი, რომ ჩვენში ყოველისფერს უშვერს საქციელს ნესტორაჟნასტ-ებით ამართლებენ და

ესეც რომ არ ყოფილიყო, მაინც რით სჯობია თქვენი მახვილობა, მაგალითად:

«და აი ამ გადის მფარველობის ქვეშ დაიწყეს ნაჯარდობა ვიღაც «რეზონიორებმა», «მათიკოებმა» და სხვებმა...»

— რას ნიშნავს ბ-ნო ნარკვევის ავტორო ეს სიტყვა ვიღაც? ესე იგი ყოველს გამვლელ-გამომვლელს, განა? ან იქნება ისეთს ვისმეს, რომელსაც არა აქვს ბედნიერება თქვენის ცნობისა? ეს სადაური მსჯელობაა, სადაური მახვილობაა? ასე რომ ყოველს ახლად გამოსულს საზოგადო ასპარეზზედ ვიღაც დაუძახოთ, მაშინ ხომ ქრისტე ღმერთიც ვიღაც გამოვიდოდა თქვენს აზრით? არ შეიძლება გკადროთ, თქვენ ვინღა ბრძანდებით ბ-ნო გამოურკვეველი ნარკვევის ავტორო? გენერალ-ლეიტენანტი თუ კიდევ ბოკლის მემკვიდრე, სოკრათი ან მრისხანე ზევისი? ვერაფერი მახვილობაა თქვენმა მზემ!

ბ-ნი ნარკვევის ავტორო, თქვენ ჩვენის გაზეთი-დამ მთლად გადმოგებეკდავთ «კინტაური ლექსი» (რად იწუხებდით თავს, განა ორი კუპლეტი საკმარისი არ იყო «ავლაბრული პოეზიის» ნიმუშად?) და რაღაც ბრძნულის კილოთ, სასაცილო ავტორიტეტით ბრძანდით:

«რა ვსთქვათ იმ გაზე-ზე, სადაც ამისთანა ავლაბრული ლექსები იბეჭდება? სხვა რა ამის მეტი რომ ბ-ნს რედაქტორს და მის თანამშრომლებს კარგათ სცოდნიათ გაზეთის მნიშვნელობა!»

მართალია ბ-ნო ნარკვევის ავტორო, თქვენ სხვა ამის მეტი ველარაფერი გეთქმისთ, რადგან სხვა რამე თქმისათვის საჭიროა ის რაც თქვენ, ჩვენდა სამწუხაროდ და თქვენდა საუბედუროდ, ბლომად გაკლიათ!... რაც ლექს შეეხება, ჩვენ აი რას მოგახსენებთ. «კინტაური ლექსი» ჩვენ არ დაგვიბეჭდავს იმ განყოფილებაში, რომელსაც ვუწოდებთ ხელაგნუნი პოეზია და რომელშიაც მხოლოდ ნამდვილს პოეტურს ლექსებს ვბეჭდავთ, მაშასადამე ჩვენ ეს ლექსი არ მიგვაჩნდა და არც მიგვაჩნია პოეზიის ნიმუშად—ეს ვგონებთ, ადვილი გასაგები იყო, რომ მოგნდომებოდათ, მაგრამ საქმეც ის არის, რომ არ მოინდომებთ და უსაფუძვლოთ ცილი შესწამებთ ჩვენს ცოდნას გაზეთის მნიშვნელობაზე. ჩვენ კინტაური ლექსი დაგებეჭდებთ კერძოთ, ყველა სტატიების დასასრულში, როგორც სცენაზედ წასაკითხავი და დანიშნულებაც ასეთი ჰქონდა, როგორც გასართობი რამე, მაგრამ თქვენ მაინც არ იკმარებთ ცელქობა და ღრეჭიარობას მიჰყევით... რით უნდა აიხსნას თქვენი ამ გვარი ოინბაზობა, თუ არ იმით, რომ საღდაც და როდესღაც რაღაც გტყენიათ...

მაგრამ გარწმუნებთ რომ თქვენი უსაფუძვლო ბრძნე-ბი და ჯაერის ჰყრა სრულიად კბილს მოკლებულია (თუმცა ბევრი გილესნიათ) და ამით უფრო შესაბრა-ლისად გხდით თქვენც და თქვენს გამოურკვეველი ნარკვევსა.

წარმოვიდგინოთ (თუმცა წარმოუდგენელია) რომ ჩვენ «კინტაურს ლექსს» იმ მნიშვნელობას ვაძლევთ, რასაც თვენ ბ-ნო ნარკვევის ავტორო, ძალად გვაძლევინებთ და დაჟინებით თავზე გვახვევთ. მერე რა ნახებთ თქვენ ამ ლექსში «ავლაბრული»? ის ხომ არა, რომ ლექსი კინტაურის, ავლაბრულის თუ შეითან ბაზრულის კილოზეა დაწერილი? მაშ თქვენის აზრით ესეც «ავლაბრული ლექსი» უნდა იყვეს.

რას იხებებ რომ მე არ აგისრულებ, რა საქმე სთქვა, რომ არ გაჭრას მადამა? ცუცუნნი ჯან, რამდენ დღეს გომარხულებ, თუ რომ ერთი შენი ტუჩი მაჭამა!

ან კიდევ: «კვარას ვლოთობ შენ რას გიშლი ქობილო, ლოთობაში აბა რა ნახე ცუდი?»

ან კიდევ: მე ქრისტე ღმერთს კინტოდ გაუჩინებარ, ლოთობა ჩვენი წესი, ადათი, მითომ რაო, შენისთანა ვაუები ბიჭობაში არ შეუოთის არც ათი!

ან კიდევ: ოჰ, გაუწყლეს მდიდარ მუნწებს ქოქი... ...მე რომ მოგვე გვედრებით, ძეგო ჯან, დამახალეთ ზედ საუსე დოქი!..

თქვენის ცულქურის ლოლიკით ეს ლექსები შეა-დგენენ «ავლაბრულ პოეზიას», აგრეა განა? მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ამის დამწერიც და დამბეჭდავიც არც ვიღაც მათიკოა და არც გაზეთი „თეატრი“ არამედ ეკუთვნის ჩვენი ნიჭიერი მწერლის ავ. ცაგარელის კალამს და დაბეჭდილი იყო დინჯი და დარბაისელი ყურნალ «ივერიაში» და ჩარც ლექსი, არც ავტორო და არ ყურნალი «ავლაბრულად» არ იყენენ ცნობილნი. ან იქნება ცელქი ლოლიკა თხო-ულობს; რომ ერთი და იგივე საქციელი «ივერიას» ეპატიოს და პირ-იქეთაც ღირსებათ ჩაეთვალოს, «თეატრი» კი ჩაქოლილ იქმნას? რა არის მიზეზი ამ ათ-ვალ-წუნებისა? ამის პასუხს თქვენი გამოურკვეველი ნარკვევი თუ მოგვცემს, თორემ სხვა არავინ! აი კი-დეც ლექსი მაგ კილოზედ;

ტუგი ტუჭლი მალწეია ზდეს ნა სერცე სპრიაჩით ბუდუ, ნიკტო ვიდიტ, ნიკტო სლიშტ კაკ ია ის ცალავაშტ ბუდუ! ლუბიტ სოჩიშ ია ზდეს სტაიუ



ზაჩემ დრუგოი ნეტა ვა—ვა!  
ტუდი სუდი ზაჩემ სმოტრიშ,  
კომუ იდოშ, ნეტა ვა—ვა!

ამასაც ავლაბრულ ლექსა ჩასთვლით, მაგრამ ნეტა რას ეტყვით თავ. გრიგოლ ორბელიანის აზრ-ლილს?!

თქვენ ამოგილიათ ერთი სიტყვა და ლექსი ჩვენის გაზეთიდან (ისიც უხეიროდ—აღბათ მტკივნელობას თვალი აუხევიან თქვენთვის და ლოლიკისათვის ქსელი და ბადე გადაუფარებია) და ამ ერთის სიტყვის მიხედვით თქვენ აზრს არდგენთ ჩვენს-გაზეთის მნიშვნელობის უცოდინარეებზე და თვით გაზეთსაც ავლაბრული ორგანათ სთვლით.—არ შეიძლება გკითხოთ ეს თქვენი დასკვნა რომელ ეროვნების შეხედულობას შეადგენს? ასეთი ღრეჭიაობა რომელ ლიტერატურულ წესს ეკუთნის, ასეთი ცელქი ლოლიკა რომელ კრიტიკულ ჭკუას შეეფერება? ამის პასუხს რა თქმა უნდა, ისევ თქვენი გამოურკვეველი ნარკვევი მოგვცემს.

არა, რუ მართალა უთუოდ ესურდათ ჩვენი გატუქავა, რატომ მაშინ არ დაგეტუქსეთ, როდესაც გარემოება ხელს ვიწყობდათ, ესე იგი, როდესაც ჩვენ «ივერიას» შევწამეთ «ნოვოე ერემედამ» მეთაურის წერილის ასოდან აღომდე გადმობეჭდვა? რატომ მაშინ არ აგვიგდეთ მასხარად, რატომ მაშინ არ გვიწოდეთ «ავლაბრულობა»?—ან იქნება მაშინ თქვენმა გულ-მლობიერებამ გვაპატია?... ესეც, რა თქმა უნდა თქვენს ცელქურს ლოლიკას უნდა მიეწეროს.

საზოგადოთ ყოველი შენიშვნა, თუ შენიშვნა იგი გულ-წრფელია და მართებული, ყოველთვის სასურველია და ჩვენგანთ მარად პატივცემულიც არის ხოლმე, მაგრამ როდესაც შენიშვნას საწყობთ პირადობა აქვს, ნიადგად ცელქი ლოლიკა, საგნად ოინ-ბაზობა, თავზედ ქულათ ჰხურაეს ღრეჭიაობა, ფეხთ აცვია ცუნცრუკაობა და ხელთ უპყრია ტაკი-მასხრული ექვანებით შემკული ჩოგანი და როდესაც ყოველი ამათგანი თვითთულად და ყველანი ერთად ატორიკ-დებიან, მაშინ, ნურას უკაცრაავთ, ჩვენ ასეთს შენიშვნას ყურადღებას არ ვაქცევთ და თუ საჭიროება მოითხოვს ვკიცხავთ კიდევ.—

### ხალხური პოეზია

დაღოცვილი ქრისტე ღმერთი,  
ქვეყნიურად იარება,  
ხელში სასწორი უჭირავს:  
ცოდვა, მადლი იწონება  
და ვინც სიმათლეს არ მისდევს  
საიქიოს დახანდება!

თუ კაცი ვარგა ჯიღაგი  
ნეტა რა საქებაა?  
თუ თვით არ ვარგა სუევეა  
ფუჭი დასაცინაა.

(შეკრებილი სოსიოსაგან)

მე ქართლშია რა მიჭირდა,—  
მთვარე იდგა მსესავითა,  
გაღმასი და ქერის შურთ  
წინ მეუარა ბზესავითა.

მეჭარის ხეში ბეჭი შეშა,—  
სხალ სოფელში კირია  
ბიჭებო ბანი გვითხარით,  
ეველამ დახლეთ პირია.

(შეკრებილი რ. მირზანელიაგან)

ქალა მესმის ქება შენი,  
უცხო თემსა მიაძებსა,—  
სახსავად გადმოვიჭერ,  
მგნამ ჯაჭვით დამაბესა;  
არ მადრისეს ნახვა შენი,  
ეველგნით მახე დამიგესა,  
თვალსა ჩემსა ნახვა შენი  
ვაი თუ დაუგვიანდეს!...

(შეკრებილი ჭაბუკოელისაგან)

(გაგონილი იმერეთში)  
მიძინო მეუახდა, მიუვარდა...  
ჭააააააა, ჭააააააა, ჭააააააა,  
ჭარუ ნახა!



შეძინა გასეპარა...  
 ჭაანანა და სხვანი  
 ქუთაისს ქედსა შამოჯდა...  
 ჭაანანა და სხვანი  
 ექვანი შეუღრიალა...  
 ჭაანანა და სხვანი.

(გაგონილი მცხოვრები.)

დუშმანსა გამოეზადლეს უმცროსი განადუღია,  
 სოფელში დაეხეტება, როგორც კამბეხი ლუღია,  
 ჯვარედინ გზაზე ქსუნაგდა ნეფიანს გამოვლიდია,  
 ჯალაბი ფეხზედ ჩაჭკიდებს, თუ თითონ გაბრინჯუღია?

(გაგონილი ქართლში)

ქალა რას ტირი, რას ტირი?  
 რას დაგითხრია თვალები?  
 ამდამ ჩემთან წამოდი,  
 გადმოიარე ხასები.

(იქვე)

ხანასკენთელა ჯიუტო, მტერთაგან მოუქრეველო,  
 ხორასანს რასე გამგზავნე, შე ოჯახს დასაქრეველო!

(შეკრებილი თავ. რიფ. ერისთავისაგან)

### თეატრი და მუსიკა

ჩვენ შევიტყუთ ნამდვილის წყაროებიდან, რომ ქართულს დრამატიულს კომიტეტს უკვე შეუდგენია დასის კომპლექტი; დასში მოწვეულ-იქმნებიან. მ. მ. საფაროვი-აბაშიძისა, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა, მ. მ. მძინაროვის ქალი, ვ. გ. მელიქოვი-საფაროვისა, და კიდევ ორი ახალი არტისტი-ქალები, რომლებსაც დებიუტი ექნებათ დანიშნული. არტისტები იქნებიან: ვ. ა. აბაშიძე კ. დ. ყიფიანი, ვ. ს. ალექსეე-მესხივე, დ. მ. აწყურელი. ვ. მ. გამრეკელი. კ. მ. მძინაროვი. გასტროლზე: ე. ს. მესხის ქალი კ. ს. მესხი. რეპერტუარიც თურმე შედგენილია. სხვათა შორის ორი ახალი პიესა იქნება ა. ცაგარლის თ. ავ. რ. ერისთავისა და ენიაყინა ა. მთუმანოვისა თვითო პიესა; სულ ახალი პიესები 10—15 იქნება. უპირატესობა მიეცემა ორგინალურს პიესებს. დასის მმართველი

და რეჟისორად იქნება თავადი ვ. მ. მთუმანოვი. როგორც ეტყობა ჩვენი ქართული დასის და თეატრის საქმე მომავალ სეზონიდან ფეხზედ წამოდგება და წარმართების გზას დაადგება. ჩვენის მხრით ვისურვებთ რომ ასე ენერგიულად და ბეჯითად დაწყებული საქმე საქმეებურად და სასახელოდ დამთავროს ჩვენმა დრამ. კომიტეტმა. ამასთან ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავიც, ჩვენი ბანკის თეატრს ამ კვირაში გადაკეთებას და სასცენო ექსესუარების გაუმჯობესობას შეუდგება ბანკის მმართველობა.—

### მოთხრობანი

ბეპარი ბუზდა

(ბესსარაბიული ლეგენდა)

იმ ადგილას, სადაც ჩვეულებრივად დამშვიდებული მდინარის პრუტის ლულუნი, უეცრად განრისხებული და საზაროდ მჩქეფარის მიმდინარეობად იცვლება, რომელიც ახმაურებს მთელს არამარეს, თითქოს აფთხობს დაგვიანებულ მგზავრსო,—იქ, ვრცლად გაშლილ მინდორზედ, თითქოს დაობლებულაო, ატყუელია მარტოდ მარტო ერთი გორა, რომლის ძირი ირგვლივ ხუთს ვერსტს შეადგენს. ამ გორას რიგრიგად ზევიდან მოყოლებულ ხრამები და ოღრო-ჩოღროები აჭრელებენ, ახოვან ხის მაგიერ ბუჩქები და ბუჩქნარები, უიმისოდაც კლდიან გორას, გამოუხსადეგად ხდის ყოველ გვარის მეურნეობისათვის. პრაფერი არ ამტკიცებს აქ ადამიანის არსებობას, ხოლო, თუ დააკვირდება კაცი, ერთის ხრამის ნაპირზედ მოჩანს პატარა ბილიკი, რომელიც ბუჩქებში ილევა.

მაგრამ ოდესმე აქაც ყოფილა კაცი. ამას ამტკიცებს ძველი ნაშთენი შენობებისა, რომელნიც დროთა ვითარების გამო დანგრეულ-მიღწეილიან. ძეღლები, ქერი და იატაკი ყოველივე დამსხვრეულია. აქ-იქ ნანგრევებზედ ბალახი და გვიმრა ამოსულა. ხალხმა იცის ეს გორა, იცის მისი წარსული, მისი ისტორია და აი, რა ნაირი ლეგენდა დადის მასზე.

მის აქედ დიდი-დიდი ხანია. იმ დროს როდესაც რუმინია შეადგენდა ერდს მთელს პოლიტიკურს სხეულს და როდესაც ყველა ეს ემონებოდა ოსმალეთს,—მაშინ ხსენებულის პრუტის ნაპირს და ამ ფანტასტიურს გორას მფლობელობდა განთქმული



„ბოერი“ (\*) გუზდა. მაშინდელი „ბოერები“ ეხლანდელებს როდი ჰგვანდენ, მაშინ ყოველს „ბოერს“ საკუთრად თავისი ჯარი ყვანდა, ჰქონდა საკუთარი ციხე-დარბაზები, თვითონ სჭრიდენ ვერცხლის და ოქროს ფულებს, ყველას მათგანს თავისი სამფლობელო ჰქონდა, დადიოდენ საომრად, იპყრობდენ ერთს, თავზარსა სცემდენ მეორეს. თვითონ გუზდა და მისი მამა-პრებიც აქ იდგნენ—იქ იყო მათი სახლ-კარი, მათი ღიდება.— შენობა, რომელიც დღეს მტვრად არის გადაქცეული, მაშინ ღიდი და უზარმაზარი იყო, მომართული მრავალის საციხურებით, თოფ-ზარბაზნებით და საიმედო გალანგებით. შოველივე ესა სრულს ბრძანებულად ხდიდა ამ გორას და თვით გორის მფლობელს ბებერი გუზდასაც.

უკანასქნელი გუზდის შთამამავლობისა იყო „ბოერი“ მათე ბუზდა. იგი ხონთქარზედ უმდიდრესი იყო, მაგრამ მოღრუბლული და მეტად ამაყი; მას მხოლოდ ერთად ერთი ქალი ყვანდა—მშვენიერი „ლულუნა“ ირინე და სწორედ რომ მშვენიერი იყო „ლულუნა“ ირინე! ბნელ ღამესავით შავი თვალები, მალალი და სრული გულმკერდი, კოჭამდე გრძელი თმები, თეთრი კისერი... ირინე ანგელოზს ემსგავსებოდა.

ბებერი ჰერცოგები, ბებერი ვენგრიის ტახტის მემკვიდრენი ნატრულობდენ „ლულუნა“ ირინეს, მაგრამ ამაყი „ბოერი“ კლდესავით შეუბრალებელი იყო. ჰველას უარს ეუბნებოდა. ბუზდას არ უნდოდა სიკვდილამდე განშორებოდა თავის მზის უნახავს ქალს და მიზეზიც ჰქონდა: ოთხი ლომ-გულიშვილი, ორი მკვიდრი ძმა დაიხოცნენ გუზდის თვალ წინ სასტიკი ბრძოლაში ვენგრიელებთან. მისი უმფროსი ქალს მარიცას შიგ დარბაზში ყელი გამოჰკრეს ვენგრიელებმა. მის აქედაა რაც ბებერი გუზდა მოღრუბლდა და შეკუმუნხდა... მის აქედაა რაც მხიარული და ყოველთვის პურმარილიანი ბუზდის სასახლე დაკეტილია ყოველ მგზავრისათვის... მის აქედ ბუზდას არა ახარებს-რა...

„ლულუნა“ ირინე ღიდათ მშვენიერი, მხიარული, კეთილი და მოსიყვარულე იყო. ხალხმა მას საფუძვლიანად უწოდა სახელად: და ჩვენის ერისა და მხოლოდ „ლულუნას“, მარტო ირინეს შეეძლო ღიმილი გამოეწვია ბებერი ბოერის პირ-სახეზედ. ბოერი ხანდის-ხან მთელი საათობით იჯდა თავის ქალთან და სტკებოდა მისის კიკჭიკით.

\*) ბოერი ჩვენებურად ნიშნავს თავადიშვილს, როგორც მაგალ. ძველ დროში ქსნის ერისთავები იყვნენ.

პრუტის მეორე ნაპირზედ, სწორედ ფონის პირდაპირ—იღვა მეორე ციხე-დარბაზი. ამ ორ-ნაპირის შუა მიმდინარეობდა პრუტი, რომლის სიგანე ხანდისხან 12 ვერსტამდე მიახწევდა ხოლმე. ამბობენ რომ ბუზდის ციხიდან მოჩანდა ხსენებული ციხე-დარბაზის ბანიო. ზარეშემო ამ ციხე დარბაზს ალყად ერტყა აუარებელი ტყე—ახლა კი ციხისაგან დაშთენილია მხოლოდ დანგრეული კედლები, ხოლო ტყე, რომელსაც ჯერ-ჯერობით არ მიჰკარებია კაცის შეუბრალებელი ხელი, უფრო დაბურულია, უფრო გაუვალია.

ამ მეორე-ციხე დარბაზში სცხოვრებდა „ბოერი“ ურზა, ესეც მაგნატი—და ძველად განთქმული გვარის კაცი იყო.

ჭაბუკობის დროს ბუზდა და ურზა განუშორებელი მეგობრები იყვნენ და კიდევ შეჭფიცეს ერთ-მეორეს „დაძმობილება“. სიბერის დროს ორივე განშორდენ ერთ-მეორეს და აღთქვეს ურთიერთის არ დანდობა. ლეგენდა ასე იხსენიებს მათს ჩხუბს, მათი განშორების მიზეზს. ერთხელ რუმინია საძირკველამდინ შვირყა შინაურის ამბოხით. ბუზდა და ურზამ შეჭფიცეს ერთ-მეორეს ერთათბრძოლა, ერთი საგნის დაცვა. ატყდა ომი და ბუზდამ თავის საუბედუროთ დაინახა, რომ ურზა მტრებთან ერთად იყო და სასიკვდილოთ ეჭანებოდა ბუზდის ჯარსა. შეკუმუნხვა წარბები ბებერი „ბოერმა“ და უბრძანა რომ ყველა მხედარნი მყისვე შეყრილიყვნენ ერთს ადგილსა.—

— მხლა დაღამდა, სთქვა ვარისხებულმა ბუზდამ, ომის დრო აღარ არის! ხეალ ღილით ხელ-ახლად ბრძოლა ასტყდება. მე თქვენს რაზმებში ჩავდგები ურზის პირდაპირ. მინც იმას დასჭრის იგი მიიღებს ჩემგან ასი ოქროს, ასი უღელი ხარს, ათასი სული ცხვარს; ვინც ურზას მოჰკლავს, იმას მივცემ ათას ოქროს, ყველა ძაცელის მიწებს მისის ტყით და სოფლებით, აგრეთვე ყველა იმ ჯოგს რაც კი იქა ჰსძოვს; ვინც მომიყვანს ურზას ცოცხლად, იმას გავხდი ჩემს მემკვიდრედ, იმას მივცემ ჩემს ქალს ირინეს, ყველა ჩემს ქონებას და ჩემს სახელსაც!

მეორე დღეს დაიწყეს საშინელი ბრძოლა. ურზა ცოცხლად მოუყვანა ბებერს ბუზდას ერთმა ახალგაზდა მხედარმა, მაგრამ დღე ნაკლმა ვერ ეღირსა „ბოერის“ დანაპირებს—რადგან სასიკვდილო ჭრილობისაგან იქვე, ბუზდის ფეხთან სული განუტვნა.

ღიღს, ღიღს-ხანს უყურებდა ბებერი ბუზდა ფერმიხდილ ურზას: უყურებდა და მღუშარეობდა.

— მჰი, ბიჭებო! დაიღრიალა ბოლოს ბუზდამ,

აქვე გააწვინეთ ეგ მოღალატე და ასი მათრახი მო-  
არტყით, მერე ისევ წაიყვანეთ მტრის რაზმში! აბა,  
მალე!!

ბოერის ბრძანება მყისვე აღსრულებული იქმნა,  
იმის შემდეგ ბუზდა და შრზა გადაემტერნენ ერთმა-  
ნეთს და თუ შეხედებოდნენ სადმე, მხოლოდ იმის-  
თვის, რომ მაშინათვე მოეკლათ ერთმანეთი.

შრზასაც ბებერი უბედურება გადახდია თავის  
ხანგრძლივის სიცოცხლეში. მთელი მისი ჯალაბო-  
ბა ქალი და კაცები რიგ-რიგზედ დაიხრცენ ბრძოლის  
ველებზედა. მადარჩა მხოლოდ მისი უნცროსი შვი-  
ლი.

ღრონი კი მიდიოდნენ და მიდიოდნენ. ჯერედ  
ნორჩი და პაწია ბაეში, მერე ლამაზი „ლულუნა“  
ირინე ვარდისავით გაიშალა და მისი ბადალი მთელს  
ბესსარაბიაში ვერ მოიპოვებოდა. ირინე შეიქმნა  
სრული წლოვანი. ბებერი ბუზდა თითქოს გაქაბუკდა  
და ნელ-ნელა ივიწყებდა თავის მწარე დარდებს, წა-  
რსულს გულის კრილობას, მაგრამ მისთვის ამ ნეტარ  
დროს დიდხანს არ გაუსტანია.

შეკრად ირინე მოსწყინდა. მისი ლოყების აღ-  
მური ნელ-ნელა ჰქრებოდა, ლამაზი „ლულუნა“  
თითქოს ავად გახდაო. ჩაფიქრდა ბებერი ბუზდა.  
ხელ-ახლად მოღრუბლდა მისი შუბლი... იმან  
დაუწყო თვალ-ყურის. დევნა „ლულუნას“, მაგრამ  
ამაოდ, ვერ გაიგო. ქალის ფიქრები, მაშინ ბუზდამ  
მიჰმართა მოსამსახურე გოგონებს, გამდღვლებს და უთ-  
ხრა; კინც „ლულუნასი“ დარდის მიზეზს გამიგებს  
და შემატყობინებს იმას ოქროში ჩაესვამო! —

მაგრამ „ლულუნის“ სევდის მიზეზი ბუზდისა-  
თვის გაუგებარი დარჩა—მხოლოდ ირინეს ფიქრი  
ცხადი და იშკარა იყო მთვარიან ღამისათვის, პრუ-  
ცის ტალღები გეტყოდით ლულუნის დარდებს, ხშირად  
ხედავდა ლულუნას დაღუპებული მთვარეც—ღიან,  
მთვარე ბებრს რასმე გეტყოდით, რომ შეძლებილი-  
ყო ბებრს ბუზდას მთვარის გამოკითხვა, იგი გაი-  
გებდა რომ ერთხელ მშვენიერ ზაფხულის ღამეს ურ-  
ზის ციხე-დარბაზიდან გამოაქროლა ცხენი ვილაც  
მხედარმა—იგი მხედარი არ მიაჭენებდა თავის  
ლურჯას გზატყეცილებზედ ან ბილიკებით, არამედ მიჰ-  
ქროდა პირდაპირ და შეუბოვრად, თითქოს უკან  
სიკვდილი მოსდევსო... ტყვიასავით გადატყორცნა  
მხედარმა ოღრო-ჩოღროები და მხოლოდ მდინარის  
ნაპირზედ შეაყენა აქაფებული ცხენი. ცხენი შედგა  
მაღაყზედ, მაგრამ მხედარი უკვე ფეხზედ იდგა; მან

ჩუმად მიბა ცხენი ერთს ხის ტოტს და მდინარეზედ  
ჩქებში. რამდენიმე წუთის შემდეგ მხედარი ნაწილად იჯდა  
და თამამად სცემდა ნიჩაფს მუდამ მდტრეინვავს ჰრუტს  
მხედარმა მალე მიადწივა მეორე ნაპირს, გადმოხტა  
ნავიდან, მიბა იქვე ბუჩქს და გულის ძგერიდ დაიწ-  
ყო ლოდინი...

ბაისმა საზარო ბუს ხმა,—ამას თითქოს ბა-  
ნი მისკაო მტრედმა—გაისმა ისევ ტკბილი ხმა, რო-  
მელიც თითქო ბუზდის ციხიდან მოდიოდა. ჩამო-  
ვარდა სიჩუმე. მხოლოდ პრუტის ტალღები რაღა-  
საც სჩიოდნენ.


მრთაზად ვიწრო ბილიკზედ—მდინარისაკენ—  
რაღაც გამოჩნდა. შპა ამოვიდა მთვარეც და გაანათა  
მშვენიერი, ლერწამ ტანის პატრონი ქალი. თითქოს,  
გრძელ კაბაში, თმა გაშლილი, ყელზედ ძვირფასის  
თვალეზით და მარჯნების ძიით, ოქროებით მოკაზ-  
მული გულ-მკერდი მაგ მშვენიერის ქალისა, ადამიანს  
რაღაც ზღაპრულ არსებად ეჩვენებოდა. თამამად ჩა-  
მოვიდა იგი მდინარისკენ და... მხურვალედ ჩაეარდა  
მხედრის მოუთმენელი გულ-მკერდში.

— ირინე, ირინე ჩემო ყველავე! კიდევ გაბედე,  
კიდევ მნახე? ნუ თუ კვლავ მოამშორდები, კვლავ  
მარტო გამიშვებ? ღმერთო, როდის მეღირსება, რომ  
შენ მთლათ ჩემი იყო, მაშინ ირინე არც ერთს საათს,  
არც ერთს წუთს შენს თვალებს არ მოემშორდები  
ასე გიყურებ მუდამ; სიკვდილამდე... ჩემო ანგელოზო  
ჩემო...

მხედარმა ისე მიიკრა გულზედ „ლულუნა“ რომ  
კინალამ დაღრხო, იგი რაღაც თრთოლვით ჰკოც-  
ნიდა მას, მერე ისევ თვალში შეჰყურებდა, თმებს  
უწნიდა, ხელახლათ უშლიდა, იგი იცინოდა და სტი-  
როდა კიდევ... ხელახლად ჰკოცნიდა, ხელახლად  
ლაპარაკობდა...

— ირინე წავიდეთ, გავიქცეთ! არც შენი და  
არც ჩემი მამა არ დათანხმდებიან ჩვენს ბედნიერე-  
ბაზედ... გავიქცეთ... ჩვენ წავიდეთ ხვანთქართან,  
ან პოლშაში, ან კიდევ რუსეთში; ერთი სიტყვით  
სადმე ვიპოვით თავ-შესაფარს... მე ყველგან მიცნობენ,  
ყველანი მიმიღებენ... მიწას მომცემენ, საქმეს გამო-  
ჩენენ... შენ შემოგწირამ მთელს ჩემს სიცოცხლეს—  
შენი ძიძა შევიქნები, ხელით გატარებ, მაჰმადის  
რჯულსაც შევარყევ, ოღონდ შენ, შენ ნუ დამაგდებ!  
მაშ, წავიდეთ... გავიქცეთ!...

— არა, არა ჩემო საყვარელო! წაიდულუნა  
ღონე მიხდილმა და ათრთოლებულ „ლულუნამ“,  
არა, მამა ვერ გადაიტანს ასეთს უბედურებას... არც



შენი მამა გადარჩება მაგას... ჯერ მოითმინე, ცოტა მოითმინე, იქნება შეგვიბრალონ... იქნება...

დიდ ხანს იყვენ ასე დიდ ხანს კიკვიკობდენ, დიდ ხანს ეხვეოდენ ერთ-მეორეს... დიდ ხანს... ბოლოს მთვარეც მიიწურა, აღმოსავლეთისკენ მზემ ირაქრაქა. მხედარი უკან სახლისაკენ განქრა თავის მერანზედ—ქალი კი შინი ყო...

ცოკლოპი

(გაგრძელება)

სსვგ-და-სსვგ ამბავი.

### სად რა მომხდარა.

ვის არ მოეხსენება ამერიკელობის სანტიმენტალური ხასიათი? ამ დღებში თურმე ერთს იქაურს რედაქტორს—გამომცემელს პეტრე რატიგანს, რომელიც იმავე დროს ერთს დიდს თანამდებობას ასრულებდა ამერიკის რესპუბლიკაში, თავის გაზეთში გაეშვა ერთი წერილი, რომელშიაც კომიკურად გამოჰყვება ქალები, რომლებმაც თურმე მოიწადინეს სასმელების და სიმთვრალის მოსპობა. აი თურმე ამ მანდილოსნებმა შეადგინეს თათბირი, გადასწყვიტეს პეტრე რატიგანს რამე სასჯელი გამოუჩინოთო და მართლაც ერთს საღამოს პატივცემულ მანდილოსნებმა კიდევ აასრულეს თავის მუქარა: დახედენ თურმე გზაში დარბაისელს რედაქტორ-გამომცემელს და ისე დაბეგეს ცემით, რომ საბრალო რედაქტორი-გამომცემელი ეხლა ლოგინად არისო.... საკვირველი ქალებია ამერიკაში და საკვირველ საქციელსაც სჩადიან ეგ ვითომ და უძლიერი ქმნილებანი....

ამ დღებში გარდაიცვალა გამოჩენილი სწავლული გერმანიისა ვილმველმი შერერი, სიკვდილის გიზენი თურმე მომეტებული მუშაობა ყოფილა. შერერი ცნობილი იყო როგორც გამომკვლეველი ხალხურის და ხელოვნურის პოეზიისა; 1868 წლიდამ ამ უკანასკნელ ჟამამდე შერერს პროფესორის კათედრა ეჭირა ბერლინის უნივერსიტეტში. შერერი დაიბადა 1841 წელს.

ლონდონში ამ დღებში კიდევ გაიჩნია მრუშობის საქმე. ერთი ფრიად პატივცემულის კაცის ცოლს თურმე ერთს გამოჩენილ პასტორთან კაფ-

შირი ჰქონია, ქმარს საჩივარი შეუტანია რომ და მსაჯულთა გადაწყვეტით: ცოლი თავის ქმარს და 15,000 მანეთი ჯარიმა გადახდესო, ხოლო პასტორი სამსჯავროსაგან სასტიკად განკიცხული იქნა.

ვილაც საფრანგეთის პასტორს ამ დღებში გაუყიდნია 2000 მან. ის ენა, რომელშიაც შარლოტა კორდემ მოჰკლა გამოჩენილი მარატი.

კრაკოეში გარდაიცვალა გამოჩენილი პოლშური მეცნიერი და სწავლული მეთაფი ბონკოესკი. ბონკოესკი გამოჩენილი იყო როგორც ისტორიკოსი. ბონკოესკი 80 წლის მოხუცი იყო.

ტელეგრაფმა გვატყობინებს პეტერბუღიდან, რომ გამოჩენილი აკადემიკი ბუტლეროვი გარდაცვლილა თავის სოფელში ყაზანის მაზრაშიო.

ქალ. ოდესაში ამ დღებში თურმე უცნაური ამბავი მოხდა, ერთს ვილაც დიდი ოჯახის ასულს, ხოლო ხანში შესულს, მოსწონებია ერთი შეგვრემანი ლამაზი ყმაწვილი კაცი, გაუცენია და შინაც წაუყვანია კიდევ. აქ ახალ-გაზდა კაცმა ხან ფრანცუზულად ხან ნემენცურად ხან ინგლისურად დაიწყოლაპარაკი, ასე რომ ყველამ ერთბაშად მონათლეს იგი საფრანგეთის გრაფად, თუ ნემცურ ბარონად. დღენი მიდიოდნენ. ვაჟ-კაცმა აბრედლოჟენიეა გაუკეთა თავის მიჯნურს და ქორცილის დღევ დანიშნული, იყო მაგრამ: დახედეთ ილბალს... ახალ-გაზდა „გრაფი“ ერთს დღეს სადღაც განქრა, თურმე ნუ იტყვიოთ ყმაწვილი კაცი ლაქიად ყოფილა ერთს „შეკურ რესტორანში“ და იქ შეუსწავლია ენებიც, ქცევაც და გარეგნული ბრწყინვალეობაც...

### სცენები ხალხის ცხოვრებიდან.

- (ერთი ქალაქელი კინტო სახლში შკდის. კარებში იმერლის ბიჭს შეხედება და ჰკითხავს)
- კნიაზი შინ არის?
- ეინ ხარ შენ?
- გიჟია ოხერი! ვერა მხედავ, ეინცა ვარ? ჩინოენიკი ვარ!
- იმე რა გვარ ჩინოენიკი ხარ? ჩინოენიკ კი არა კვინტო ხარ!
- მერე ჯოჯო თუ იცი რომ კინტო ვარ, მა რაღას მკითხავ? წადი, შენ კნიაზს უთხარ კინტო გვახლა თქო.

ეროვნული  
გაზეთი

— აჰა, არ მეტყვი რა გვარი ხარ?

— გვარი რომელია, ტუტუტო, კინტო ვარ, ვა! პოლიცია ხომ არა ხარ რომ გვარსა მკითხავ.

— იმე, რავეს უნობს ეს ვოხერი, არ გესმის, შენი გვარი თქვა?

— ბიჭო, შენ თხები ხომ არ გაწუხებენ— წალი უთხარ კინტო თქო.

— დედავ, გედვირე კაცი! კვინტო რომ ხარ, გვარი არა გაქვს? ქე მინც ვისგან ხარ?

— ვა, როგორ თუ ვისგან? ჩემგანა ვარ!

— მერე არ იტყვი ვინ გამოგზავნა?

— ბიჭო, ე რა ძალიან ტუტუტია!

— მალე თქვი ვინ გამოგზავნა თვარა კარს და-  
კვეტავ.

— გიჟია მულრეგი, ბიჭო მე თვითონ მოველი.

— მერე რაგინდა ეხლა?

— შენი ნაცვალი! რალა უნდა მინდოდეს! კნიაზს შეატყობინე რომ მოველი.

— კი შენ არ მომიკვდე, ეხლავ შევატყობინებ წალი გვეთრიე თქვა!

— ვა! აპრუწუწუნ! ნიმოჟიტ ბით!

— გვეთრიე თქვა, იმე!

— იმე და დარღუნე (კინტო თავისებურად ერთს ვარჯათ ჩაუფახუნებს თავში ბიჭს. ატყდება ჩხუბი, ამ დროს კნიაზიც გამოვა).

— ეს რა ამბავია!

— დედავ, ბატონო, შენი კირიმე ამ ვოხერ კვინტომ კინალამ დამახრჩო!

— ვა, კნიაზ ე რა ჯოჯოხეთის მაშხალა დაგი-  
ყენებია კარებში, ვეუბნები კნიაზს უთხარ მეთქი, ეგ კი ჩამაცივდა გვარი მითხარი და მითხარიო, ვა, განა არ მიცნობ, კნიაზ, ვინცა ვარ!...

საფარ.

### კვირიდან კვირამდე

\* \* როგორც შევითქვით გორში ქართული წარმო-  
დგენის გამართვას აზირობენო. შემოსავლის ნახევარი  
დანაშნულია წერა კითხვის გამაგრებელი საზოგადო-  
ებისათვის და მეორე ნახევარი საჭედილოქმედო დანიშნუ-  
ლებისათვის.

\* \* თავის კვლავ ამ ქვეყნაში მოდათ შემოვიდა. ბა-  
თუმში ვიღაც ქალს სასტუმროში თავი მოუკლავს რე-

ვოლვერით. ერთს აქაურს ანთიანკასაც „ველელონი“  
ში“ (რესტორანის) თავი ჩამოუდრჩვია კანკუნედ. კი-  
დეკ ვიღაც ქალი წყალში გადავარდნიდა. კიდეკ ერთს  
სხლგანდა უმწვილ კაცს თავი მოუკლავს და კიდეკ  
ბეკრი მკვლელობა ხდება: ეს ცუდი ნიშანია და სასაგ-  
ლობა ჩვენ ქვეყნისათვის.

\* \* სურამში თურმე ისეკ ძველს ხელობას მოჭკი-  
დეს ხელიო. ცუცხლის წავიდება შურით და მტრობით  
საყოველდეო ვარძად გადაქცაო.

\* \* სიღნაღიდან გვატყობინებენ, რომ ჭინხასული  
კარგი არისო, თუმცა წვიმებმა ბეკრი წინაი მოგვცაო.

\* \* ჩვენ შევითქვით, რომ ვაკანსიების უქონლობის  
გამო სულ არ იღებენ მოწაფეთ არც I კლას გიმნაზი-  
ში და II-შიო. ეს ვარემოება საკმარისად უნდა უმტკი-  
ცუბდეს ვისაც ჯერ არს, რომ ამიერ კავკასიას სასწავლე-  
ბლები ეჭირვებს და არა ერთი და ორი, არამედ მეტი...

\* \* მკითხველებს მოესხენებდა რომ ქალაქში არსე-  
ბობს ერთი გვარი კომიტეტი, რომელსაც ეწოდება  
„ბუფვარის კომისია“— აი ამ „კომისიის“ წევრები  
თურმე მეტად უზრდელად ექცვიან გამკლელ-გამოკლელ  
ქალებს... ისე რომ თვით ზოლიციამაც იტვირთა ამ  
ვაკანსიების შორის „მშვიდობიანობის ჩამოყენება“

\* \* ჩვენი ქალაქის მუდმივი ტირილი დიდის ხნი-  
დამ ყოფილა და არის წელის უქონლობა; ვინ არ  
იცის ჩვენ მეთულუხების ამბავი. ესლა ქალაქის გამგეო-  
ბას ტაკსა შემოუღია, რომელიც არა ქალაქის მცხოვრებ-  
ლების სასარგებლოდ არის. ნეტა რასეკ ჭფიქრობს ქა-  
ლაქის გამგეობა?

\* \* ამ დღეებში ერთი შესანიშნავი გურჩიოზი მოხ-  
და ჩვენს კლუბში— ერთმა კლუბის წევრმა ბ-ნმა ა. ისეთი  
სილა აჭამა ერთს იქაურსავე ვაჭარს ბ-ნს ს. რომ ეს  
უკანასქნელ იქვე ზირქვე წაქცეულა. აი ნამდვილი სხარ-  
ტული ამასა ჭჭვიან! ამ სიღის შემდეგ თურმე რე-  
რეკელის ჭამსაც აზირობდენ ზოგერთნი, მაგრამ ხიზალა-  
ლას როგორც იყო მოურჩიების ორი მოწინააღმდეგე  
დასი კოპენინგთა და კომოლუტო?

\* \* ჩვენი მხარე ყოველდე სულ ხსადს და ხსადს  
კომერსანტებს და სსვა საქმის კაცებს იწვევს. ესლა გე-  
რმანდიდან ჩამოსულან რამდენიმე შემღების მქონე ზირ-  
ნი და ღვინოს წარმოებას უნდა შეუდგნენ თურმე.

ეროვნული  
მუზეუმი

\* \* როგორც „ივერიას“ შეუტყვიან ამ დღეებში ჩამოსულს ახლად განწყობილი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი მ. შანი. აგრეთვე ამბობენ რომ ამ თვის 15-ს ჩამოვა უწმინდესის სინოდისაგან დანიშნული რევიზორი ბ-ნი ჩისტოვინი, რომელსაც მონღოლთა აქვს თბილისის სემინარიის საქმის განხილვა. —

\* \* გოგებაშვილის „დედა ენის“ უკვე გათავისუფლდა და ცალკე წიგნთაგან გამოდის. ეს გამოცემა 20,000 კოპიისაა დაბეჭდილია.

\* \* ამ დღეებში ჩვენ მოვიპოვეთ ერთი ნემცურნი წიგნი, რომელსაც სათაურში „კაკაზი“ აწერია. ეს თხზულება დაუწერია ალექსანდრე პეტროვიჩი. დაბეჭდილია 1866 წ. ქ. ლეიპციგში. წიგნის სისქე 387 გვერდზედ მეტს შეიცავს და მასში ბევრი საინტერესო რამ არის ჩვენის ქვეყნის შესახებ.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ჩვენის მეზობელ ქვეყნის მეფის თეიმურაზ პირველის (1608—1665 წ.) ლექსების ბეჭდვა დაუწყიათ და საზაფხულთ ცალკე წიგნთაგან გამოვა.

\* \* ამ დღეებში ჩვენ ვხვდებით ერთი ძველი ხელნაწერი წიგნი, სახელდობრ „კითხვა მიგებითი სწავლა“. წიგნი შედგენილია ბერის იოანე ხელაშვილისაგან, ეს ის გამოჩენილი ბერია, რომელიც იოანე ბატონიშვილი „კლემენტის“-ში დიდის დიდებით და მრავალწინის ფილოსოფიურის საგნების ცოდნით გამოხატა. სხვათა მრავალთა შორის ეს წიგნი შეიცავს საქართველოს საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიის ნაწილსაც, ლიტურგიის სწავლის გავრცელებას და სხვა მრავალთ ამ გვართა.

\* \* ყველაზე საინტერესო ამ წიგნისა წინა სიტყვაობა არის; წინასიტყვაობის დაწყებულ მთავრობის, რომ მე მეფე ერეკლე მზრდიდა სამს სკოლაშია, პირველად თფილის—მეტეხის სკოლას ვსწავლობდი, შემდეგ ქიზიყის წმიდა ნინოს სასწავლებელში და ბოლოს თელავის სკოლაშია.

\* \* ფოთიდან გავტყობინებენ, რომ იქაურ პოლიციებისტრის ბარონ ფონ-გეიკინის სიკვდილის შემდეგ მისი ოჯახობა საშინელ და საცოდავი მდგომარეობაში დაჩაბდა და იქაურ ზოგიერთ პირებს მოიწადინეს სკოლის მოწოდებით ფულის მოკრეფა და კიდევ მოაგროვეს 1,000 მანეთამდე. ეს სასიჭადულო საქციელი ფოთლებისა მეტად საჭიბარი და სათვალჩინია.

\* \* იქიდანვე გავტყობინებენ, რომ აჭარის მთავრობის მთავრობის ახლად ჩამოსული ნიკიტინის ცირკის „არტიტემალ“ ამ დღეებში ერთი უწესობა მომხდარა ამ „არტიტემალის“ მეორებით, მაგრამ „წესიერების დამცველებს“ დამნაშავენი გაუმართლებიათ და მართლად დაუტუსაღებიათ...

### სიტყვების გამოცანა

- I რომელსავე რიცხვს წინ დაურთეთ ორი უხმო ასო: ყველა ეს შეადგენს ისეთს არსებითს სიტყვას, რომელსაც ყველანი თაყვანსა სცემენ.
- II სასულწოდებას წოდებითი ბრუნვაში, წინ დაურთეთ თანდებული: ყველა ეს შეადგენს ერთის მშვენიერის ქვეყნის სახელს.
- III სასულწოდებას, რომელიც ერთსვე ყველას ეწოდება, მოჰკვეთეთ უკანასქნელი ხმოვანი ასო, დაურთეთ ბოლოს ერთი გვარი მტენარეს სახელი; ყველა ეს შეადგენს ჩვენი თანამედროვე პოეტის სახელს.

### ასხნა სიტყვის გამოცანისა.

1, საბა—ნი 2, ლ—ომი, 3, მა—მული. ასხნეს. არშაკამ, კატო მ—ამ, სანდრო და ლიზამ.

### ასხნა უცხო წერა კითხვისა

ატამი ითვის ასეთი იმატა.


### გასართობი

ერთსვე სპარსეთის მეფემ—გამბიზმა, ღვინოსაგან გაწვინდებულმა, ჰკითხა თავის საყვარელს მეგობარს პრეკსასხს:

- რას ამბობენ ჩემზე სპარსელები?
- მეფე! უმასუსა პრეკსასხსმა, ისინი შენ ძლიერ გაქებენ; მაგრამ ჰკითხიათ, რომ ზომასზე მეტს სუამთ ღვინოსა.

გამბიზმა აიღო შეილდ-ისარი და ესროლა იქვე ახლო მგომს პრეკსასხსის შეილს; ისარი ყრმას გულში ჩაეჭრა.

— აბა, ვკვარ ესლა მთვარას, თუ არაო, ჰკითხა მეფემ.



— ღმერთებიც ვერ ისროდენ უფრო მარჯვეთა, მიუგო უბედურმა მამამ.

განსვენებული თავადი გ. მ—ი ჭკვიანი და ზოლი-ტოკისი კაცი იყო; მისი დაფარული მიმართულება მხელ-ზედ მხელი გამოსაცნობი იყო. როგორც მოგესხენე-ბათი. მ—ი გარდაიცვალა სამზღვარ გარეთ. როდუ-საც განსვენებულის გვამი მოასვენეს თ—ში, რკინის გზის ვაკზალზე დიდ-ძალი ხალხი დასკდა. მატარებლი-დგან გარდმოტანა დააპირეს მუშებმა. კუბო მიცვალბუ-ლისა ოთხ კუთხივ თანასწორ ყუთში იდგა: მუშები შე-ჩქრდნენ—არ იცოდნენ, სიდეტ ჭქონდა თავი და სიდეტ ზოლო ნეტარ სსენებულის გვამს, რომ ზინკულად ის მხარე აწინათ, სიდეტაც თავი ჭქონდაფ, რომ აესნათ ეს გამოცნა—ერთმა მუშათაგანმა მიმართა იქვე მდგომს აჯანის ამ სიტყვებით:

— ბატონო! თქვენი ჭირიშეთ გვიბრძინეთ — სიდე-თს აქვს თავი მიცვალბუფლსო?

— რა ვიცი, ჩემო ძმარო! — მიუგო მოსწრებულ-მა აჯანმა — სიცოცხლეში, რომ ვერ გოუგოთ — სიდეტ ჭქონდა თავი, სიკვდილს შემდეგ ვინღა გაუგებსო მკ-გურთხეულსო!

გ. თინელი.

— ის რა ღორი მომყიდეთ გუშინ? ერთი სულ-მითი დაჩხა და საშინლად აყროლდა.

— გასაცნარი საქმეა! მთელი სამი თვე უაფასებ-ზედ გვეყარა — არ აყროლდა და ესღა რა ღმერთი გას-წყრომიან.

სამ — ღორმა ა. გ — რელმა წერილი გაგზავნა ერთი შესხვდავით მხინჯი მსახურის ხელით. ბატონს მსახურმა მდებლათ თავი დაუგრა და წერილი მიართვა. ბატონმა მსახური აათვალიერ-ჩათვალიერა და ჭკითხა.

— ვისგან არის ეს წერილი?

— ა. გ — ღისაგან განლავს, ბატონო, მიუგო მსახურმა.

— მერე ა-ს შენზე უკეთესი კაცები არ უავდა — შენ რომ არ გამოგვსავს?

— კი განლდათ, ბატონო, მაგრამ უკეთესები უკეთესებთან გაგზავნა და მე თქვენთან გამოგზავნა, მიუგო მსახურმა

ერთს ელხსა ჭკითხეს: თქვენ თავად მარჯვეთა თუ სხელმწიფომ გამოგვზავნათო? ,,თუ ჩემი ელხობა გა-მარჯვებს მოასწავებს ხელმწიფის გამოგზავნილი ვარ, თუ არა და ჩემ თავად მოკვდიო, — უპასუხა მან.

ფილოსოფოსი ფალესი როცა ახალგაზდა იყო დე-და ჩამოკვიდა, ცოლი შეირთო. ,,ჯერ დრო არ არის! — შემდეგში, როცა დედამ კიდევ მოაგონა ეს სავანი, უთხრა: ,,ესღა გვიანდააო“.

ერთი კაცი დაკითხა სოკრატეს ცოლის შერთვის შესახებ: ,,შეირთავ თუ არა, მაინც ამას კი გეტყვი, რომ ორსავე შემთხვევაში უსწავლად ინახებო! მიუგო სოკრატემ.

«თეატრის» ფონტა.

ბ — ნ ს. ა — გ ს. თქვენი ლექსი დასაბეჭდათ ვერ გა-გამოდგა. სცადეთ კიდევ, იქნება მეორე უფთ გამოვიდეს.

გ. ო რ შ. ი. ბ — ნ ს. ა. ლ. კვალთა შვილს თქვენი წერი-ლი მივიღეთ, მაგრამ დაბეჭდვა ვერ მოვანერეთ. რაც შეეხება, იმას რომ № 171 — შვილისაგან დადგენილის კითხვის პასუხს, ძალიან დაგვაფაღებთ თუ პასუხს გასცემთ. ამ საგანზე ერთი პასუხი ჩვენი გაზეთის 27 №-ში დაბეჭდილი იყო, მაგრამ კითხვა ისევ აუხსნელი დარჩა.

ბ — ნ ს. ნ ა კ ო ლ — ძ ე ს. თქვენი კითხვა ვერ დაიბეჭდა.

ბ — ნ ს. X — ს. თქვენ ჭკითხულობთ, რა მიზეზია, რომ ,,კითხვებზედ“ პასუხს არ ბეჭდავთო?

ქუთაისი. ბ — ნ ს. ჭ ა ბ უ კ ს. ,,მერას თვალი არა ჭქონ-და, ღმერთსა წარბსა ჭსთხოვდაო“ ეს ანდაზა ყოველ დილით გაიმეორეთ, იქნება მაშინ ,,პოეტობას, შიირობას“ თავი დაანე-ბოთ.

,,ქუთაისში ბატონო ჭ ი რ ვ ე უ ლ ო ,,ჭირვეულობაც რიგით უნდა“!

ფ. ო თ შ. ი. ბ — ნ ს. კ — ძ ე ს. თქვენი მოწერილი ამბავი, თემ-ცა სასურველია რომ დაიბეჭდოს და დაიბეჭდებოდა კიდევ, მა-გრამ ვერ მოვანერეთ.

რედაქტორ-გამომცემლის მაგიერი ვაღიერიან გუნია.